

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის

### სტრატეგიული განვითარების გეგმა

2022-2026 წწ.

ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს ისტორიული არჩევანი - ევროპული იდეა, უპირველესად, განათლების ევროპული სისტემის აღიარებასა და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას გულისხმობს. უმაღლესი განათლება ამ სისტემის ორგანულ ნაწილს შეადგენს. უმაღლესი განათლება დინამიკური საქმიანობის სფეროს განვითარებისა და ინოვაციების უწყვეტ საგანს წარმოადგენს.

„ევროპის უმაღლესი განათლების და არქიტექტურის ჰარმონიზაციის შესახებ სორბონის დეკლარაციის“ თანახმად, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე მოითხოვს მუდმივ ძალისხმევას, ბარიერების გაუქმებას სწავლებისა და სწავლის ისეთი სტრუქტურების შესაქმნელად, რომლებიც გააფართოებენ მობილობას და მჭიდრო თანამშრომლობას. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თანდათან მკვიდრდება ევროპული განათლების ძირითადი პრინციპები. უმაღლესი განათლების სისტემა (სწავლების სამი საფეხური), კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შემოღება, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს საფუძველზე ზოგადი და კომპეტენციების/ტრანსფერული უნარებისა და მინიმალური დარგობრივი კომპეტენციების განსაზღვრა, „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ (LLL) პრინციპების დამკვიდრება - ამ მიმართულებით, აშკარად, წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. გამოიკვეთა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა (EHEA) და კვლევით სივრცეში (ERA) ინტეგრირების შესაძლებლობები, გაიზარდა ინტერნაციონალიზაციის ხარისხი.

არსებულ გამოწვევებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღირსეულად უმკლავდება. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ბსუ პოზიციონირებს, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული უნივერსიტეტი, რომელიც რამდენიმე მაჩვენებლით წარმატებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად განიხილება. მიღწეული შედეგებს, უპირველესად, უნივერსიტეტის უმთავრესი სტრუქტურული ერთეულების, ფაკულტეტების საქმიანობა განაპირობებს.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ჯანდაცვის ფაკულტეტი** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ მსხვილ და წარმატებულ ფაკულტეტს წარმოადგენს, როგორც რაოდენობრივად, ასევე, ფინანსურად. ფაკულტეტი, ასევე, გამოირჩევა საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობითა და მიმართულებების მრავალფეროვნებით. ეს პროგრამები საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის მიმართულებით, აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი სამედიცინო განათლებისა (პროფესიული მზადების)

და გადამზადების განხორციელებას ემსახურება. მაღალია ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელი. ფაკულტეტის მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი პირველი აკრედიტებული პროგრამაა, რომელსაც უკვე ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები. არ შეიძლება, არ აღინიშნოს აკადემიური პერსონალის პროფესიონალიზმი, სამეცნიერო მიღწევები და კვლევით პროექტებში სწავლების სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების ჩართულობა.

რა თქმა უნდა, აღნიშნული მიღწევები არაა იმ პოტენციალის მაქსიმუმი, რომლის რეალიზაცია ფაკულტეტს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ძალუძს. შესაბამისად, ყველა ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული იმისთვის, რომ ფაკულტეტმა შეინარჩუნოს არსებული ნიშა, განვითარედეს და მიიღოს ყველა გლობალური გამოწვევა, მათ შორის - რეგიონის ინტერესების, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტი - ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებეთა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ჩამოყალიბებისთვის ბსუ-ს წარმატებულ სტრუქტურულ ერთეულად, განვლილი გზის, გაწეული შრომის გააზრებას და პატივისცემას, სურვილს, გაზიარებული იქნეს საუკეთესო პრაქტიკა, შენარჩუნდეს საუკეთესო ტრადიციები და ტენდენციები, კრიტიკულად შეფასდეს არსებული ვითარება და სწრაფვა განვითარებისა და ცნობადობის ამაღლებისკენ, მათ შორის საერთაშორისო დონეზე.

### სტრატეგიული გეგმის სქემა:

გარემოს ანალიზი და საჭიროებების განსაზღვრა → მისია და სტრატეგიასთან თანხვედრა → ძირითადი მიზნები → სამოქმედო გეგმა → იმპლემენტაცია და მონიტორინგი

### გარემოს ანალიზი და საჭიროებების განსაზღვრა:

**ძლიერი მხარეები:** ფაკულტეტს აქვს საკმაოდ გამართული ინფრასტრუქტურა საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის მიმართულებით სწავლებისა და კვლევის პროცესის განხორციელებისთვის, მათ შორის სასწავლო ლაბორატორიები, ქრომატოგრაფიული ცენტრი, სტომატოლოგიური კლინიკა, სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი, პროფილური სასწავლო კაბინეტები (ბოტანიკის, ზოოლოგიის, ანატომიის და სხვ.);

ფაკულტეტზე შემუშავებულ და მოქმედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამას მინიჭებული აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია;

მედიცინისა კურსკულუმის პრაქტიკული კომპონენტებისთვის მაქსიმალურად გამოიყენება რეგიონის კლინიკური ბაზები;

კურიკულუმებით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო მიმართულების სასწავლო პრაქტიკები ფაკულტეტის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საფუძველზე ტარდება შესაბამისი პროფილის ინსტიტუტებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

ფაკულტეტის სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო, შემოქმედებით და საზოგადოებრივ აქტივობაში. მათთვის ფაკულტეტზე გამოყოფილია მოსასვენებელი სივრცეები

### **საჭიროებები:**

საფაკულტეტო სივრცე ვეღარ იტევს მზარდ სტუდენტურ კონტინენტს, გაუმჯობესება ესაჭიროება მედიცინის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების სასწავლო პირობებს, გამოიკვეთა მათი მეტი ინტეგრაციის საჭიროებაც საფაკულტეტო ცხოვრებაში.

მედიცინის მიმართულების სასწავლო და კვლევითი პროგრამების სრულფასოვნად განხორციელებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია დამატებითი ფართი (კამპუსი) და საუნივერსიტეტო კლინიკა;

სასურველია აუდიტორიების განახლება და სრული აღჭურვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერული ტექნიკა, ჭკვიანი დაფები და სხვ.);

სასწავლო ლაბორატორიები საჭიროებს შევსებას, გადახალისებას, გეგმიურ და შეუფერხებელ მომარაგებას სახარჯი მასალითა და რეაქტივებით;

აუცილებელია არსებული ლაბორატორიების მოდერნიზება სამეცნიერო კვლევებისთვის, როგორც პროფესორთა სამეცნიერო კვლევების, ასევე, სამაგისტრო თემებისა და სადოქტორო დისერტაციების ექსპერიმენტული ნაწილის შესრულებისთვის თანამედრო ტექნოლოგიებისა და უახლესი მეთოდების გამოყენებით, რაც სამომავლოდ ასახვას პოვებს სამეცნიერო პუბლიკაციებსა და საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებაში;

საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის მიმართულებების კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის - შრომის ბაზრის ტენდეციების გათვალისწინება, მეტი ორიენტაცია დასაქმების ბაზართან ახალი, რელევანტური კურიკულუმების შემუშავებისთვის, მათ შორის, ინგლისურენოვანი პროგრამების, სასწავლო და მოკლევადიანი კურსების;

აქტიური ურთიერთობების დამყარება - სამიზნე ჯგუფებთან, საგანმანათლებლო და კვლევით პარტნიორებთან, პოტენციურ სტუდენტებთან (აბიტურიენტებთან), კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან;

ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა - განსაკუთრებით, პროფესორთა და სტუდენტების საერთაშორისო მივლინებების, ვორქშოპებში მონაწილეობის, უცხოელ პარტნიორთა მოწვევის კუთხით;

მოწვეული პერსონალის მოტივაციის ამაღლება და მეტი ინტეგრაცია საფაკულტეტო ცხოვრებაში;

ფაკულტეტის ტრადიციად ქცეული პროფესიული, საზოგადოებრივი და საქველმოქმედო აქტივობების მეშვეობით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ცნობადობის გაზრდა და დივერსიფიკაცია, განსაკუთრებით, წარმატებული აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით.

### **მისია და სტრატეგიასთან თანხვედრა:**

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის მისიას და ბსუ-ს სტრატეგიით განსაზღვრული ძირითადი მიზნების მიღწევას, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელთა გადაჭრაში მნიშვნელოვანი როლი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უნდა შეასრულოს.

### **მიზნები:**

ფაკულტეტი მთელი თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალით და რესურსით უნდა ჩაერთოს უახლოესი პერიოდისათვის უნივერსიტეტის და, კონკრეტულად, ფაკულტეტის წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად, რაც დეკლარირებულია ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით. საუნივერსიტეტო დოკუმენტით განსაზღვრული ეს მიზნები გააზრებული და მისადაგებული უნდა იქნეს ფაკულტეტის სპეციფიკასა და საგანმანათლებლო-პროცესთან; მიმართული იქნეს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნისა და კომპეტენციების მისაღწევად.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ძირითად მიზნებს უახლოეს პერსპექტივაში წარმოადგენს:

- ფაკულტეტზე მაღალი ხარისხის განათლების მიღების უზრუნველყოფა;
- ინოვაციური, ღირებული ფუნდამენტური/პრაქტიკული კვლევების ხელშეწყობა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საფაკულტეტო სწავლებისა და კვლევების ცნობადობის გაზრდა და ინტერნაციონალიზაცია;
- აქტიური სტუდენტური ცხოვრების წახალისება.

### **მიზნების მიღწევის სტრატეგიული გეგმა:**

დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობები რიგი სტრატეგიული ამოცანის თანმიმდევრული, გეგმიური შესრულებით შეიძლება იქნეს მიღწეული.

**მიზანი: მაღალი ხარისხის განათლების მიღების უზრუნველყოფა**

<b>სტრატეგიული ამოცანები</b>	
✚	შედეგზე ორიენტირებული ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა მეცნიერებატევადი საბუნებისმეტყველო დარგებისა და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული ჯანდაცვისა და ეკოლოგიის სპეციალობებზე
✚	სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და ინკლუზიურობა, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება
✚	სწავლება/სწავლის მეთოდების მოდერნიზება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად
✚	შეფასება სწავლის მხარდასაჭერად - შეფასების მეთოდების მოდერნიზება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად
✚	შეფასების სპეციფიკური მეთოდების ( OSCE, OSPE, MiniSec და სხვ.) მაქსიმალურად რეალური იმპლემენტაცია მედიცინის სასწავლო კურსებში
✚	მედიცინის მოდულური და კურაციული სწავლების თანმიმდევრულობის და გამართულობის ხელშეწყობა, მოქნილი და სტაბილური სასწავლო ცხრილები
✚	სასწავლო საველე და საწარმოო პრაქტიკის ეფექტიანობის მონიტორინგი
✚	არჩევანის შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობისთვის პრაქტიკაზე ორიენტირებული არჩევითი კურსების ბლოკების შეთავაზება საბუნებისმეტყველო მიმართულების სპეციალობის სტუდენტებისთვის
✚	LLL სწავლების ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა, მათ შორის, არსებული კურსების მდგრადი განვითარება
✚	მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფილად ამოქმედება ყველა საგანმანათლებლო პროგრამისთვის
✚	მოწვეული პერსონალისთვის ელექტრონული სისტემის მოხმარების კონსულტაციების შეთავაზება ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის კოორდინირებით
✚	სწავლის ხარისხის და უკუკავშირის ეფექტური მექანიზმის განვითარება ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის კოორდინირებით
✚	სწავლა/სწავლების ღია რესურსების იმპლემენტაცია სასწავლო კომპონენტებში
✚	სწავლების და სწავლის თავისუფლების და პროფესიული პასუხისმგებლობების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

**მიზანი: ინოვაციური, ღირებული ფუნდამენტური/პრაქტიკული კვლევების ხელშეწყობა**

<b>სტრატეგიული ამოცანები</b>
✚ აკადემიური პერსონალის ჩართულობის მოტივირება შიდასაუნივერსიტეტო, ეროვნული და საერთაშორისო გრანტების მოსაპოვებლად
✚ კვლევის შიდა რესურსების გაძლიერება
✚ სამაგისტრო კურიკულუმებში კვლევის კომპონენტის გაძლიერება და საერთაშორისო სტანდარტების სადოქტორო კვლევები. სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურისა და გაფორმების უნიფიკაცია ფაკულტეტის კვლევითი სპეციფიკის გათვალისწინებით
✚ პარტნიორების მოძიება ერთობლივი კვლევითი პროექტებისთვის ქვეყნის შიგნით და უცხოეთის კვლევითი პროფილის უსდ, ინსტიტუტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში
✚ სამეცნიერო პროექტებსა და კონფერენციებში ახალგაზრდა მკვლევართა და სტუდენტების ინიციატივების წახალისება, ჩართულობის ზრდის ინდექსზე ზრუნვა
✚ პოსტსადოქტორო პროგრამების შექმნის ხელშეწყობა შესაბამისი პოტენციალის მქონე მიმართულებებში (ქიმია, ბიოსამედიცინო მიმართულება)
✚ მეცნიერების კომერციალიზაციის მაქსიმალური ხელშეწყობა შესაბამისი პოტენციალის მქონე მიმართულებებში
✚ კვლევითი ეთიკის და ბიოეთიკური სტანდარტების დამკვიდრება

**მიზანი: ინფრასტრუქტურის განვითარება**

<b>სტრატეგიული ამოცანები</b>
✚ აუდიტორიების განახლება, სრული აღჭურვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით
✚ სასწავლო ლაბორატორიების შევსება, თანამედროვე სამეცნიერო კვლევებისთვის მოდერნიზება
✚ ლაბორატორიული ნიმუშების, მათ შორის, არსებული მცირე ბიოლოგიური ბანკის შენახვის პირობების ტექნიკური უზრუნველყოფა
✚ სამედიცინო მიმართულების სასწავლო კამპუსის მოწყობის ხელშეწყობა
✚ საუნივერსიტეტო კლინიკის აუცილებლობის ინიცირება ყველა შესაძლებელ და კომპეტენტურ დონეზე
✚ აკადემიური პერსონალის სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა

✚ საბიბლიოთეკო რესურსების შევსება თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო პროფილური ლიტერატურით

**მიზანი: საფაკულტეტო სწავლებისა და კვლევების ცნობადობის გაზრდა და ინტერნაციონალიზაცია**

სტრატეგიული ამოცანები
✚ სამეცნიერო პუბლიკაციების და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის საუნივერსიტეტო დაფინანსების მექანიზმის მაქსიმალურად გამოყენება
✚ სტუდენტთა ალუმნის შექმნა და წარმატებული კურსდამთავრებულების გამოცდილების გაზიარების მექანიზმის შემუშავება
✚ უწყვეტი სამედიცინო განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება
✚ ქსელის: <b>სკოლა-უნივერსიტეტი-საწარმო</b> გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობის, დასაქმების შესაძლებლობების და დივერსიფიკაციის კუთხით
✚ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა
✚ უცხოელი პროფესორების/ მკვლევრების საჯარო ლექციების ტრადიციის შენარჩუნება; ახალი შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება
✚ კონფერენციებსა და საზაფხულო სკოლებში სამიზნე ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდა

**მიზანი: აქტიური სტუდენტური ცხოვრების წახალისება**

სტრატეგიული ამოცანები
✚ სამივე საფეხურის სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა
✚ ფაკულტეტზე მოქმედი კალენდარული აქტივობების (ბიოლოგიური კალენდარი, პროფესიული საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი, საქველმოქმედო ღონისძიებები და სხვ.) ტრადიციების შენარჩუნება სტუდენტთა მაღალი ჩართულობით;
✚ მეტი არჩევანის შესაძლებლობების ხელშეწყობა სასწავლო და კურიკულუმის გარე საქმიანობაში, გონივრული ინიციატივების და ინიციატივების მხარდაჭერა
✚ პროფესიულ საზოგადოებებსა და საზაფხულო სკოლებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება

✚ მოქმედი სტუდენტური კლუბების საქმიანობის, პროფესიულ ორგანიზაციებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა
✚ საფაკულტეტო თავისუფალი სივრცეების მოდერნიზება, მათ შორის, სტუდენტების წინადადებების სურვილების გათვალისწინებით
✚ „ღია სივრცე“ სწავლების ტექნოლოგიის ელემენტების დანერგვა
✚ წარმატებული, მათ შორის, სპორტულ და შემოქმედებით სფეროში მიღწევების მქონე სტუდენტების წახალისება

### იმპლემენტაცია და მონიტორინგი:

ფაკულტეტი, მთელი თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალითა და ადმინისტრაციული რესურსით, უნდა ჩაერთოს ზემოთ აღწერილი გამოწვევებისა და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტაში. ამოცანების შესრულება უნდა განხორციელდეს გეგმიურად, თანმიმდევრულად და გონივრულ ვადებში. განათლების პროცესის დინამიკურობიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, გაჩნდეს ახალი გამოწვევები ან შეიცვალოს არსებული ვითარება.

აღსანიშნავია, რომ ბსუ-ს სტრატეგიით, ერთ-ერთ გამოწვევად კრიზისების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და ბიზნეს-უწყვეტობის მიღწევა სახელდება, რაც ასევე, უნდა იქნეს გაზიარებული ფაკულტეტის მიერ. მით უფრო, რომ ფაკულტეტს აქვს კოვიდ-19 პანდემიით გამოწვეული პრობლემების პერიოდში ფორს-მაჟორული სიტუაციაში სასწავლო პროცესის მართვის გამოცდილება.

ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს სურათს, რა გზით განახორციელოს ფაკულტეტმა საქმიანობა უახლოეს პერსპექტივაში. მიზნების მიღწევა, იმპლემენტაცია და მონიტორინგი, უპირველესად, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის და დარგობრივი დეპარტამენტების აქტიური, კოორდინირებული საქმიანობით არის შესაძლებელი, თუმცა, განვითარებისა და წარმატებისკენ სვლა ფაკულტეტის თითოეული წევრის მიზანი, საზრუნავი უნდა იყოს და მხოლოდ შემოქმედებითი და პასუხისმგებლიანი, რუტინული საქმიანობით არის შესაძლებელი.